



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 8 „19“ „12“ 2022 წ.

**დადგენილება № 34**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს და განთავსდეს ვებ- გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი

 **ჯემალ მამაიაშვილი**